ნიკოლოზ ნინაშვილი

# ოქროს ბიჭის ორი ზღაპარი

სიყვარული

მეგობრობა

სიკვდილ

რწმენა

იმედი

თანადგომა

სიხარული

სათნოება

წყალობა უფლისა

თბილისი 2022

## ძვირფასო მკითხველო!

წიგნში შესულია ორი ზღაპარი, ბავშვის მიერ ნააზრევი და ბავშვებისთვის განკუთვნილი, თუმცა მორალი ზღაპრებისა მეტად გასათვალისწინებელია ზრდასრულისთვისაც.

ორივე ზღაპარი გაჯერებულია „კეთილი საქმეების“ კეთების მითითებით. ეს ბედნიერებაა, რომ „ოქროს ბიჭი“ ამ ასაკში ზოგადსაკაცობრიო ურთიერთობების პრინციპებს სწორად ხედავს. „ოქროს ბიჭი“ კი იმიტომ, რომ წელს ნიკოლოზის ოქროს იუბილეა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ოჯახმა მისთვის ამ ფასდაუდებელი, დაუვიწყარი საჩუქრის გაკეთება.

„ოქროს ბიჭი! ახლა კიდევ ერთზღაპარზე მუშაობს „ჭადრაკის დაფა! და...

წარმატებები!

სიყვარულით ოჯახი

# მეგობრობის ძალა

## ზღაპარი

ვუძღვნი დედას, იმიტომ რომ
მეორე სახელი ჰქვია მაია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ულამაზო ჭია.

ჭია ძალიან ცელცქი იყო, ხან სად ამოყობდა თავს, ხან სად. ყველას ეშინოდა მისი, რადგან ძალიან ულამაზო იყო, არავინ ემეგობრებოდა. ჭია ამაზე ძალიან დარდობდა.

ერთ შვენიერ დღეს ჭიამ ერთი გოგონა დაინახა და გადაწყვიტა მეგობრობა შეთავაზებინა და ხელზე ააცოცდა.

გოგონამ დაინახა ჭია და შეხყვირა – ნუ გეშინია! (მიმართა ჭიამ) მე მეგობრობა მინდა, არავინ მემეგობრება, ყველას ეშინია ჩემი, მე კი თამაში მინდა.

– კარგი ვიმეგობროდ – უთხრა გოგონამ.

– რა გქვია – ჰკითხა ჭიამ.

– მაია მქვია – უპასუხა გოგონამ.

– შენ რა გქვია?

– მე? მე ჭია მქვია – მოწყენით თქვა ჭიამ.

ჭია ბედნიერი იყო ასეთი ლამაზ და კეთილ გოგონასთან მეგობრობით. ისინი ყოველ დღე თამაშობდნენ, იცინოდნენ, ერთობოდნენ და ბევრ კარგ საქმეს აკეთებდნენ.

ერთ დღეს მაიამ გადაწყვიტა, ჭია გაეხარებინა და მისთვის ლამაზი წითელი ფრთები შეეკერა. ჭია სიხარულისგან ცას ეწია და გოგონას სარკის წინ დიდხანს ტრიალებდა და ტკბებოდა თავისი ლამაზი ფრთებით.

გოგონამ ახალი სახელიც მოუფიქრა, ჭიამაია დაარქვა. თან უთხრა: რაც უფრო მეტ სიკეთეს გააკეთებ, შენი ფრთები უფრო დამშვენდება და ბევრი ლამაზი კოპლები გაუჩნდება.

ასე გადაიქცა ულამაზო ჭია ლამაზ ჭიამაიად მეგობრობის ძალით

*18.04.2021*

# ძროხის ისტორია

გღავთარი

იყო ერთი ძროხა. ძალიან პატარა და ობოლი. ერთ მშვენიერ დღეს ძროხა ტყეში დახეტიალობდა და ირემი დაინახა. შეშურდა ძროხას, ირემს ისეთი ლამაზი რქები რომ ჰქონდა და სთხოვა, დამ-ითმეო... ირემმა უთხრა, ბევრი სიკეთე გააკეთე და რქები ასეთივე ლამაზი გაგეზრდებაო.

ძროხა ბევრ სიკეთეს აკეთებდა. ოცნებობდა რქებზე და ერთ დღეს როცა გაიღვიძა, მოსწყურდა, მივიდა მდინარესთან და თავისი ანარეკლი დაინახა, გაოცებული დარჩა.

ძროხამ დაინახა რქები. და გახარებული დახტოდა სიხარ-ულისგან.

ყველას აჩვენებდა თავის რქებს მართალია ისეთი ლამაზი არ იყო როგორც ირემის, მაგრამ ძროხა მადლიერი იყო.

(ადამიანი ყოველთვის მადლიერი უნდა იყოს იმით რაც აქვს)

*2021. ორშაბათი. 3 მაისი.*

## ნიკოლოზ ბესარიონის ძე ნინაშვილი

დაიბადა 12.02.2010 წელს, ქ თბილისში.

ჰყავს დედა, მამა და ძმა – ანდრია ნინაშვილი.

ნიკოლოზი პატარა ასაკიდანვე გამოირჩევა გულისხმიერი დამოკიდებულებით ბუნების, ადამიანებისა თუ, უბრალოდ, სათამაშოების მიმართაც კი. ძალიან უყვარს ცხოველები, მანქანები, ლეგოს კონსტრუქციები. აქვს უცხო ენებისადმი მიდრეკილება, ფლობს რუსულსა და ინგლისურს.

განსაკუთრებით, ყურადღებას იპყრობს ბიჭის სიკეთე, მდიდარი შინაგანი სამყარო. გამორჩეულად კითხულობს ლექსებს. ნიკოლოზს ბევრი მეგობარი ჰყავს და მისი ცხოვრების დევიზია: „წმინდა ნიკოლოზის სახელი მქვია და მხოლოდ სიკეთე უნდა ვთესო დედამიწაზეო“...

ეს პატარა ბროშურაც მისი კეთილი საქმეების დასაწყისია, ტექსტი ორიგინალია, კორექტურის გარეშეა, რათა არ დაგვეკარგა პატარა ბიჭის „წერის მანერა“ თუ გულწრფელი ნააზრევი.

© ნიკოლოზ ნინაშვილი, 2022

ISBN 978-9941-8-4067-8

ილუსტრაციების მხატვარი
ანი მაღლაკელიძე

ენა

ბედნიერება

მამული

სარწმუნოება

სამართლიანობა